

სიმდიდრის ბურჯი

და

ახალი ცელიზადი პირველი ენკანის თვე

მ. გ. ქალისტრატე

გუძღვნი ივერიის მუშებთ

„რომელმან შეკვენა სამყარო ძალითა მით ძლიერითა
ზეგარდმო არსნი სულითა ჰუნა ზეცით მონაბერითა,
ჩვენ კაცთა მოგვცა ქვეყანა, გვაძვს უთვალიავი
თვერითა,

ახალ-სენაკი.

კ. თავართქილაძის სტამბა.

1893



ଶ୍ରୀକୃଷ୍ଣମାତ୍ରା

Նօմքութան ծաղրախո

18

ԱԿԱԼՈ ՇԱՀՈՒԹԱԾՈ ԱՌԵՎԵԼՈ ՍԵԿԵՆՈՍ ԴՅԱ

31157

թ. թ. մալուստրատու

(ըստ մակարած մասեած)

„Ռումիլման Շեքվենա մալուտա մոտ մլուցրուտա,
Ցեցարդմու արևոն և սպառուտա կայսերական Ցեցուտ մոնակերուտա,
Իզեն կապու մոջաբա շահանա, գայզե սուզալազո
ուղարուտա“



Ակադ. Ա. Տիգանչյան

առաջ. Ա. Ի. Գրիշան

1893

Дозволено ценз. Тифлисъ, 16 Июня 1893 г.

სიმღერის ბურჯი

და ახალი წელიწადი — პირველი ენგენისთვე.

„რომელმან შეჰქმნა ძალითა მით ძლიერითა,
ზეგარდმო არსი ხულითა ჰყვნა ზეცით მონა-
ბერითა,
ჩვენ კაცთა მოგვცა ძირიანა, გვაძეს უფა-
ლავი ფერითა“.

ოლესაც პირველი კაცი ღვთის
მცნებას გარდახდა, მაშინ მისცა ქვეყანა
სიმღიდრის ბურჯად „უფალავი ფერითა“
ოფლითა პირისა შენისათა სჭამდე პურსა
შენსა, ვიდრე მიქცევამდე შენდა მიწად,
რომლისაგანაც ხარ დაბალებული (შესაქ.
1—19). მას შემდეგ, სიმღიდრის ბურჯის
შესახებ, არაფერი ჰთქმულა ჩვენში იმდენი,
რამდენიც სხვა და სხვა წოდებათა მოღვა-
წეობაზე.

ქვეყნის სიმდიდრის ბურჯის ცხოვრება
და და მოლვაწეობა, თითქმის შეუმჩნევე-
ლად მიმდინარებს, არ ფასდება, როგორც
სხვების...

ამეცბზე ძალიან ცოტა იწერება,
სხვების კი ლირსეულად თუ ულირსოდ
ქება ღიდებით ცამდე აჰყავთ. სიმდიდრის
ბურჯის შრომა, ლვაწლი, თითქო გამო-
უჩენარი იყოს ცხოვრებაში, მაშინ, რო-
დესაც პირველი და უმთავრესი ხელობით
დიდი და უდიდესი ლვაწლი მიუძლვით
საზოგადოების წინაშე.

ვისი შრომით მდიდრდება ქვეყანა?
მიწის მოქმედი მუშებისაგან. ვისი შრომა-
ოფლით მოდის: პური, ლვინო და სხვა
მიწის ნაყოფი, როგორიც არის ქვეყნის
სიმდიდრის ბურჯი? ესრეთ წოდებული
„გლეხებისაგან“. ვინ აშენებს: საქონელს,
ცხვარს, ხარ-კამბეჩს და სხვა შინაურ ცხო-
ველებს, რომელნიც მილიონობით იკვლე-
ბა—იხოცება, „გლეხობა“. ვისი ხელებმა
გააშენეს, ის მშვენიერნი ხელობის დიდრო-

ნი: ეკტლესიები, სახლები და სხვა, გრძების გამაცვიფრებელნი შენობები? იმ მუშა ხელებმა, ურომლისოდ კაცობრიობის სიცოცხლე შეუძლებელია. ერთი მხოლოდ, ბუნებას ამათთვის ურგუნებია: მამა-პაპური ყველაზე უკეთესი ხელოვნება — მუშაობა, რომელთაც მიუძღვით მაღლიანი ღვაწლი საზოგადოების წინაშე, ომა უპირველესი ხელობით, რაც ერთად ერთი საუკეთესო სახსარია: კაცობრიობის სიცოცხლისათვის, სწავლა-მეცნიერებისათვის, მდიდარი და ღარიბის, ჯან მრთელის და უძლურის, საქმიანი და უსაქმოსი, — ყველასი, კუჭის დედა-ბოძია მუშა, როგორც სიმდიდრის ბურჯი სწორეთ, ის კურთხეული მუშა, რომელიც თავის ოფლით ჰსჭამს ლუკმა პურს და სცხოვრებს ყველაზე უკეთესი — უშიშარი ხელობით, იმ წმინდა ხელობით, რაც თავდაპირველად, ღმერთმა კაცს მოვალეობად დაუდგინა — მიწის მუშაობა, რისთვისაც ადამს სამოთხილგამ გამოატანა: კავი, ხორბალის და ბამბის თესლი, ჰევნევ-

დით და თესვიდით, პამბით ბუნებას შეი-
მოსდეთო. მეორეც, ზარმაცხება ბუდეა:
ცოდვა-სენის, შურის და მტრობის; ხო-
ლო ჯაფა, შრომა, წმინდა წყაროა: მხია-
რულების, შემსუბუქებელი ყოველ გვარ
მოწყენა — მწუხარებისა. მუშაობაში გარ-
თულ ადამიანსარა აქვს დრო ცოდვა — მო-
წყინებისთვის ითიქროს, განსაკუთრებით
მას, ვინც ჩასცერის დედა მიწის გულის
უფასო ღირსებას. რომლისაგანაც იგი შე-
ქმნილა, თითქმის ღვთიური მეცნირებისთვის.

ამ ქვეყნად მყოფმა ადამიანმა უფრო
უნდა შეიყვაროს — შეისწავლოს, იმ დედის
თვისება — ძალა, რომლისაგანაც იგი დაბა-
დებულა და გაზრდილა. ზოგიერთები ამ
დედა მიწის ღირსებაზე სრულიად არ ჰქოქ-
რობენ, არა ჰსურთ მიწის სიმდიდრის გაც-
ნობა, — არ ჰქმარობენ ხელებს ამ წმინდა
საქმისათვის, მით უხვევენ გვერდს კიდეცა;
მაგრამ იგივე მუშასთან, არა მუშა, ისე
შეკავშირებულია მიწასთან, რომ ჰაერშიაც
აფრინდეს ისევ დედა მიწაზე უნდა დაეშვას,

რადგან მიწა თავის—ძალა-ლონეთი იჭერს, არ უშვებს, როგორც თავის ნაშობს და გაზრდილსა. რამდენსაც აქეთ გვაძლევს, იმდენს ძალა უნდაბურად იქეთ გვარომევს.

ვინ მოსთვლის თუ, რამდენი ფილო-სოფნი,—მეცნიერნი და უმეცარნი, მწყე-სები და სამწყესოები, რომელთაც თავისი ცხოვრებით სხვისი სარგებლობას მეცადი-ნებდნენ,—უცოცხლიათ და ისევ დედა მი-წის გულში შეერთებულა, —ამ წესით, ამ რიგად, რამდენიც დედა მიწის ნაყოფით, მშვენიერნი კაცები და ქალები გამოიჩრ-დება, იმდენივე მისგან წაიყვანება. ოჯ! რა მდიდარია მიწა!

უსულდგმულო ცხოვრება
ცის ნიჭად ნუ გვონია,
იგი მიწის ყოფილა
რასაც ბოლო ქონია.

„ჭავჭავაძე-

ამ გვარად, ყველა სიკვდილის შეი-ლებთა შორის, წმ. იოანე აქროპირი

უფრო აქებს მიწის მუშას, რაღვან ის არის ყველაზე უსაჭიროესი ხელობა, — ხვნა-თეს-ვისათვის, როგორც უფლისაგან პირველი მცნებად მიცემული „ოფლითა პირისა შენისათა ჭიჭამდე პურსა უენსა“.

მართალია, მიწის მუშაობა ადამიანს საძნელო შრომად და მოსვენების მტრად მიაჩნია; მაგრამ ყველასთვის ძვირფასი ხელობაა ნივთიერების და გონების მხრით, წმინდა წყაროა: სიმჭიდრისთვის, ადამიანის ჯანმრთელობისთვის, მნიარულების და მოთმინებისთვის.

აუცილებელი საჭირო „პური ჩვენი არსების“ თვითოეული კაცისთვის: მეფეთა, და ქვეყნის უფროსების, მეცნიერთა და უმეცართა, მწყემსთა და სამწყსოთა. მასწავლებელთა და მოსწავლეების, ჩინიანთა და უჩინოსი, მილიონობით ჯარის კაცთათვის. ძლიერი და უძლურისა, მდიდარი და ღამყიდველისთვის, მოსამართლე და უსამართლო დი-დი და პატარასი, ძუძუ მწოვარა უსუსური

ბალლისაც — დღიური საზრდოსთვის აუცი-
ლებელი საჭირო, როგორც მიღიონობით
პატრონი ვაჭრებისთვის, ისე უკანასკნელი
საცოდვაცი მათხოვრისთვის.

მრავალია ქვეყანაზე სხვა და სხვა ხე-
ლობა, როგორც მავალითად: ქვეყნის
გამგენი, მოძღვარ-მქადაგებელნი, ჟურნალ
გაზეთების თანა მშრომელნი, — თუ ესენი
მათი დანიშნულებას სცინიდისიერად ასრუ-
ლებენ, მაშინ ქვეყანას ბევრი სარგებლო-
ბას მოუტანენ, უხასიათოს ხასიათს გაუს-
წორებენ, უსამართლოს სამართალს ასწავ-
ლიან: შეუძლია ბევრი სასარგებლო სამ-
სახური გაუწიოს ყველა მოხელეობამ, მაგ-
რამ არც ერთი ხელობა არ არის აღამია-
ნისთვის აუცილებელი საჭირო, როგორც
მიწის მუშაობა, მით უფრო, რომ არც
ერთი ხელობა არ არი ქვეყნად, რომელიც
არ საჭიროებდეს პურს? მაშასადამე მუშა
ხალხი თითოეულად ცალ-ცალკე, და სა-
ზოგადოდ ყველიასი მკვებავი და ქვეყნის
სიმდიდრის ბურჯი ჰყოფილა. სხვები კი,

ერთი ოდენ, მხოლოდ მუშებისაღმი შემწე.

მარტო ჩვენთვის არ ვმუშაობთ,
სხვისიც გვმართებს სამსახური,
ბატონი გვყავს ვართ საწყალი,
უპატრონო უბედური!

აკაკი წერეთელი.

შეუძლიათუ არა, მხატვარს, შწერალს,
მილიონი ფულის პატრონს, როცა ის
შიმშილით გამწარებულია, მაშინ ან დახა-
ტოს, ან დასწეროს, ან ივაჭროს??? არა.
არ შეუძლია, როგორც ართქლით მატა-
რებელი რკინის გზებს და ზღვის გემებს,
უწყლოდ, უშეშო და უცეცხლოდ მიმოს-
ვლა არ შეუძლია, ვერც ხორციელი ადა-
მიანი უჭმელ-უსმელი ვერ შესძლებს, არა
თუ მიმოსვლას და საჭმის გაკეთებას,—
ლოგინშიაც სიცოცხლეს; ამიტომ მიწის
მუშა ხალხს წმინდანი და მართალნი აქებს,
რადგან ისინი მიწის მუშაობით ასაზრდო-
ებს მილიონობით კაცთა ნათესაობას და თავ-
ის თავსაც ინახავს: ბოროტება-ცოდ-ვისაგან

ყოველი სხვა ხელოვნება, გინა ნი-
ჭიერება—სწავლა—მეცნიერება, ზოგიერთ-
ში გააჩენს ცოდვის მოფიქრებას, ამაყობა,
უდიარობა, უსამათლობას, შურს და მტრო-
ბას; ხოლო მიწის მუშა ადვილად ასცილ-
დება, ვითარ იგი: მატყუარობას, სხვის
ქონების მოტაცებას, ჭორიკანობას და
სხვას ყოველ სენს უსაქმო კაცისას; რად-
გან ის, ღილიდგან დალაშებამდი ჩასცერის
დედა მიწას და გულ-ალმა აბრუნებს უფ-
ლისა მიერ კურთხეული ხელებით, იმ მი-
წის ბელტებს საიდამაც მოყავთ „პური
ჩვენი არსების“.

ვინ არ იცის, ყოველი ოსტატი, ვი-
ნა, რომელიმე ხელობის კაცები, ასაზრ-
დოებს, მხოლოდ თავის ხელობას, ანუ
თანამდებობას; მიწის მუშა ხალხი არჩენს
—ასაზრდოებს მთელს ქვეყანას, საზოგა-
დოდ ყველას: მშრომელთა და არა მშრო-
მელთა, როგორც ქვეყნის სიმდიდრის
ბურჯი... ვისაც, ცოტათი მაინც თვალ-
ყური უდევნებია, მიწის მუშას უფრო აქვს:

ჰელიშვილის და სამართლის საზრდო ნაშრომთაგან ხელთა მისთა, არა მარტო თავის თვის, არამედ ყველასთვის, მდიდარი და გლახაკისთვის, მოკეთის და მტრისთვის.

„ჩვენი ჯაფით მონაცემანი,
სწვასთან მიღის საზრდო პური,
შინ ცოლშვილს შიმშილი გვიკლავს,
მაგრამ ვინ მიუგდოს ყური?“

აკაკი წერეთელი.

როგორ არ უნდა შეიცვაროს კაცმა, ამისთანა მაღლიანი ხელობა? როგორ იუკადრისოს ადამიანმა, ამგვარი ღვთის მოსაწონი საჭმე? ანუ, როგორ უნდა ითაკილოს ეს ყველასთვის საჭირო მოვალეობა? რომელსაც მუშაობდნენ ის ჩვენი წინაპარნი, რომლისაგანაც ჩვენ ყველანი მომდინარევობთ, (ადამი და ნოესაგან). პირველი წარლვნამდი მიწას თხრიდა — მუშაობდა; მეორემ, წარლვნის შემდეგ, აღაღინა — გამართა: „ერქვანი“ გუთანი, ჯი-

ლლა, არონა, ოქოქა, აჩაჩა, „კინახონა-ოგაფა“ (ეს უკანასკნელი მეგრულად კავი-სახნისია), რომლების საშვალებითაც საქ-მიანი და უსაქმონი, ყველანი ვიზრდებით. მასთან ნოემ დარგო ვენახი და გამოსწუ-რა ნუნუა (ლვინო).

განა შეიძლებაა?! სამარცხვინოდ, გი-ნა სათაკილოდ მიიჩინოს კაცმა, ამისთანა სამამათ მთავრო ხელობა, როგორიც არის მიწის მუშაობა, რომლითაც ქვეყანა მშვე-ნიერდება—ღონიერდება, ერთი სიტყვით მიწის გონივრულად მოხმარება ყველასი ჯიბის გამტენელი უფასო თვალ-მარგალი-ტია, რომელსაც ვერ შეედრება სხვა, ხე-ლობა, როგორც სიმდიდრის წყარო—ბუ-რჯი.

„ნეტარ არს ვინცა ნაშრომი
ნაყოფთა თვისთა ჭამისა“

დ. გურაშვილი.

ქველი მოთხრობის წერილები გადმო-გვცემს, რომელიმე დიდმა ლირსეულმა კა-

ცებმა, აირჩიეს მიწის მუშაობა, ვიდრე სა-
შეფო ტახტზე დაჯდომა ძლიერ კა-
გათ შეასრულეს და სასიქადულოთაც გა-
ტარეს ყველასთვის სავალდებულო მიწის
მუშაობა. ამისთანა კეთილი ჰაზრისანი იყ-
ვნენ: ჩეშკის კოროლი და პიასტი პოლკის
კოროლი.

ჩინეთის მეფე, რომელსაც შილიონი
ხალხი ჭყავს და ყოვლის ფრით მდიდარია,
წესად აქვს: თავის შვილებით და ყველა
დიდ კაცებიანად ერთ დღეს სამუშაოდ გა-
მოვიდეს. თავის ხელით შეაბამს გუთანში
ხარ-კამბეჩის, მოხნავს მიწას და დასთესს
ყანას, — ყველამ ცხადათ და ნათლად დაი-
ნახოს, რომ მიწის მუშაობა არის უპირვე-
ლესი სავალდებულო, როგორც აუცილე-
ბელი საჭირო: მეფეთა, მდიდართა და ლა-
რიბთათვის დღიური საზრდოსთვის და სა-
მეფოსი სიმდიდრისათვის. მეორეც, მიწის
მუშა, ერისაგან ყოველთვის გამოდიოდნენ
ლვთის სათნო კაცები, მაგალითად: გედე-
ონ, ლმერთმა მიწის მუშაობიდგან აიყვანა

და დაადგინა ერის მოთავედ, რათა გამო-
იხსნას თავის ერთ მემამულე ხალხი ისრა-
ილები, მტრის მაღიამელებისგან, როდესაც
ეს ღმერთმა მას გამოუცხადა, მაშინ გედე,
ონ კალოზე იდგა „გამოძეგვდა იფქლსა“
(წიგ. 7. მხაჯ. 6 — 11). როდესაც წინას-
წარმეტყველმა ილიამ, ელისეს წინასწარ-
მეტყველად უწოდა, მაშინ ელისე გუთანს
მუშაობდა.

ამ სახით, ქრისტეს სარწმუნოების,
წმინდათა მამათა შორის უმაღლესი პირე-
ბი: ვასილი დიდი, გრიგოლი ლვის მეტ-
ყველი და იოანე ოქროპირი, ლვის მსა-
ხურებას — სწავლა — მოძღვრებას შეასრუ-
ლებდენ თუ არა, აიღებდენ ხელში: ბარს,
თოხს და მუშაობდენ მიწას, მით ასრუ-
ლებდენ უფლის მცნებას; მეორეც, აძლევ-
დენ კეთილ მაგალითს სამწყსოთა, რო-
გორც საუკეთესო ზნე-ჩვეულების წმინდათ
დამცველი.

ჩვენს დროში, ამ გვარი კეთილ მი-
მართულების სანთლით საჭებარია, რათა

მკვიდრთა ცხადათ და ნათლად დაანახვონ, რომ გონიერული მუშაობა, ერთის მხრით არის ქუეყნის სიმღიდრე და მეორეს მხრით აღმომფხრულია ყოველი ცოდვა — ბოროტებისა.

აი. რა კარგა უთხრა; სიკიდილის წინა დღეს სვიმონ ქრისტესთვის სალოსმა, თავის სანდო დიაკონს იოვანეს: უბრალო-ხალხი მიწის მუშები უფრო წმინდა და კეთილის გულით ატარებენ ცხოვრებას, არავის მიაყენებენ შეურაცხ-ჭყოფასა, მხარ-ში უდგანან ერთმანეთს ჭირში და ლხინში, ოჯახში, თუ ყანაში, არა ვის დაჩაგვრენ ცხოვრებაში, იზრდებიან თავიანთის წმინ-და შრომით „ოფლითა პირისა თვისისათა“. ამისთანა ხალხთა შორის უფრო მაღლიანი მოღვაწეობაა, უფრო წრთელი სიყვარულია, ვინემ, რომელიმე მცხოვრებთა შო-რის!

მე ვნახე ისინი ამბობს წმინდა მამა, როცა წმ. საიდუმლოსი ქრისტეს ხორცის და სისხლის მისაღებად მოვიდნენ, ისე მო-

დიოდნენ, როგორც წმინდა ოქრო.

ასე, ამნაირად განსჯის წმ.მ ღვდელთ
მთავარი დიმიტრი, მიმართავს ამ სიტყვით:
ნუ გრცხვენია მიწის მუშავ! შენი მდაბალი
მდგომარებისათვის. იცხოვრე ყველაზე უკე
თესი უშიშარი ხელობით—მიწის მუშაო-
ბით „ოფლითა პირისა შენისათა“.—პირ-
იქეთ სასიხარულოდ და სასიქადულოდ
უნდა მიიჩინოთ, რომ ღვთისაგან კურთხე-
ულის თქვენის ხელებით: იზრდება—იკვე-
ბება მილიონობით კაცთა ნათესაობა.

„ვისაც რა უნდა უყვარდეს,
სულ სხვაა ჩემი ტრფიალი:
მიყვარს პირ წმინდა ნამგალი!...
მისი ყანაში ტრიალი!...“

თავი უკვდეს ზოგიერას,
რომ იტაცებენ სხვისასა...
საწყალ კაცს ჯიბეს აჭრიან,
ურცხვად ივსებენ ქისასა.

ჭორი ვარ, რომ სხვას მოვსტაცო?
რად გავიშავო პირი მე?

გარს შემოვევლე ჩემს გუთანს!

ჩემი სახნისის ჭირი მე!

„ხერხსა, ხელების, სატეხსა,
ნაჯახ—ცულსა ვენაცვალები.

რაც ჩემი ურმის არ არის,
სახლში არ შემიტანია!

ღმერთმა მაშოროს, რაც ჩემის
ოფლით არ გამიბანია”.

აკაპი წერეოელი

საბერძნეთის ქვეყნის, ფილოსოფოსი
დიოგენი, ბალს—პრწყვილა, არისტიპაშ
(ფილოსოფ. იყო) უთხრა: დიოგენ! თუ შენ
იცოდე მეფესთან ცხოვრება, მაშინ გაუ-
შვებდი მაგ მუშაობას. დიოგენმა მიუგო:
და თუ შენც იცოდე სიამოვნება ჩემი მუ-
შაობისა, მაშინ შენც დაეხსნებოდი მეფეთ
მლიქვნელობას...

დიოგენს ჰკითხეს: რა არის კარგი ამ
სოფელში?

— მიუგო: მუშაობა—თავისუფლება...

ძმებო, ნიწის მუშაკნო! ნუ დავივი-

წყებთ, რომ წმინდანი და მართალნი კაცებნი აქებენ იმისთანა მუშებს, რომელნიც სცხოვრებენ სიმართლით, ერთმანეთში წრფელი სიყვარულით,— და უმანკოს გულით, როგორც სვიმონ სალოსმა თქვა.

ნუ დაგვავიწყდებათ ძველი და ახალი გაგონილი და თვალით დანახული შემთხვევა,— ღვთის კურთხევა გადმოვა, იმ ღვთას ნიერი კაცის ნაშრომ— ნაოფლარწე, ვისაც აქვს: მტკიცე სარწმუნოება, სასოება და სიყვარული, ღვთის ყოვლის შემძლებელობაზე. უყვარს მოყვასი და თვისი, რომელსა სძულდეს ძმა თვისი, იგი კაცის მკვლელად აღვიარებულია. (იოან. 1. 3—15). ვისაც სიმართლე არ უყვარს— არ იტყვის, ის ღვთისაგან არ არის, ღვთის ვარის მყოფელია. (იქვე. იოან, 3—10. გაამართლეთ მართალი და გაამტკიცეთ ცრუ იგი. (ჩჯულ. II. 25—1.).

ამ გვარ სიმართლით უნდა შევინახოთ „ძმობა და ერთობა“, როგორც პოეტმა ჰსთქვა:

კაცი ის არის, ვის გულსაც ესმის
ციური სიტყვა, ძმობა ერთობა“
და სიყვარულით აღვსილის გულით
ჰავრდომილთ მოყვასთ მოეხმარება.

გრ. ორბელიანი.

შიწის ნაყოფიერების შესახებ, ავიღოთ მა-
გალითი, ქრისტეს სარწმუნოების შემოსვლა
მდი ისააკი, აბრამის შეილი, როცა ეგვი-
პტეში შიმშილი გაჩნდა, წავიდა ფილის-
ტიმელების მეფის აბიმელიგთან — გერარა-
ლში, სადაც უნდა დარჩენილიყო (შესაქ.
26—1 2 და 3) როგორც ცხოვრებისთვის
საჭირო, ისააკმა დაიქირავა მიწა და დათე-
სა ხორბალი, სადაც მოუვიდა ასი წილი
მეტი ნაყოფი; რაღვან ისააკი და მამა მისი
იყვნენ ლვთის მორჩილი მორწმუნე მონა
სცხოვრებდენ სიმართლით და წმინდის
გულით; ამიტომაც ლმერთმა გაამდიდრა,
როგორც მიწის ნაყოფით, ისე, საქონელი,
ცხვარი და ყველაფრით, ისე რომ ისაკის
სიმდიდრე შეშურდათ ფილისტიმელებს

კჯდეცა; მაგრამ მტერი რას ავნებდა, როცა ლმერთი მისკენ იყო.

აქ, იქნება ვინმემ იფიქროს: ამ სოფელში ვხდავთ ზოგიერთს „ულვთოდ“ — ხერხით ამაღლებულ — გამდიდრებულს; მაგრამ ამაზედ აი, რას აჩბობს წმ. დავით წინასწარმეტყველი: „ვიხილე ულრმთო უფროს ამაღლებული და აღმატებული, ვიდრე ნაძვთამდე ლიბანისათა, და თანა წარვხედ და აპა არა იყო!

ვეძიებდი და არა იპოვა ადგილი მისი, (ფსალ. 5, 35 და 36.) წარმოიდგინეთ, ისევ ისაკი და მისი ყანა, რომელსაც იმ შიმშილობის წელიწადში, მისკა ასი წილი გასაკვირვებელი ლირსების მარცვლიანი თავ-თაველი, მაშინ, როდესაც მთელი გერარადის მუშა ხალხს საშინელი უმარცვლო — უნაყოფო ყანები დაუდგათ!

საიდგან მიიღო ამისთანა ლონე-ძალა ისაკის მიწა-ყანამ?

იმისაგან, რომ ლვთის კურთხევა იყო მამა და შვილზე. (იქვე 5, 12, 13 და 14).

შეხედეთ, თუ რამდენად ნაყოფიერია
მიწა ყანა, ღვთის მორჩილის კაცისა „და
განვამრავლო თესლი შენი, როგორც ცის
ვარსკვლავები, და მოგცეს შენგან დათე-
სილძა მიწამ ნაყოფი, და იკურთხოს თეს-
ლისაგან შენისა ნათესნი მისნი (იქ. მუხ.
4 და 5).

ძმებო მიწის მოქმედნო! თუ გსურთ
ისაკსავით, თქვენი ნაშრომ-ნათესი ყანების
კურთხევა, როგორც იტყვით ხოლმე
„ჩვენს ყანებში ღვთის თვალი ტრიალებ-
სო“, მაშინ თქვენც უნდა იყვნეთ ღვთის
მოყვარულნი, როგორც სჯული გვიბრძა-
ნებს და როგორც ჩვენი ქვეყნის მეფე
ბრძანა:

„ღვთის მოყვარება ეს არის
კაცს ყოველი კაცი უყვარდეს,
მოყვასი უნდა შოყვასსა
ვით თავსა შემოუარდეს“.

მეფე არჩილ.

მართალია, ზოგიერთ შემთხვევაში,
როცა მიწა კარგია, თავის დროს კარგა

შემუშავებული, კარგის თესლით დათვის-
ლი, თუ ზომიერი წვიმა და ჭაერი აქვს,
თბილი ღამე და კეთილი შეზავებული
ჰაერს ქვეშე, მიწა მოიტანს კარგ ნაყოფს;
მაგრამ თუ ღვთის კურთხევა არ ექმნება,
მაშინ ყველა ამაებს აქვს ძალიან პატარა
მნიშვნელობა, არ მისცემს მიწა იმდენ ნა-
ყოფს, რამდენსაც მოელის პატრონი!

ყველას გაგვიგონია, ზოგს თვალი-
თაც გვინახავს, მშეენიერი თითქმის შემო-
სრული ყანები და ვენახები, რომლისაგა-
ნაც პატრონი მოელოდა: ცოლ-შვილების
გამოზრდა-შემოსვას, ზარალი და ლხინის
გასტუმრებას, სხვა და სხვა გარდასახადების
თავიდვან მოცილებას; მაგრამ ყველასთვის
სამწუხაროდ, პატრონს გამოეცალა ხელი-
დგან თავისი ნაღვაწნაოფლარი და დახ-
ტოვა გულ დამწვარ-დადაგული.

რისაგან მოხდება ამნაირი ჭაერის
მოვლენა? ხან გვალვა, ხან მეტი წვიმები,
ხან სეტყვა, ზოგჯერ თაგვი და კალია,
ზოგჯერ ძლიერი ჭარი და ცივი ჭაერი,

ნაჭირ-ნახულევის გამფუქებელი-გამანადგუ-
რებელი?!

უნდა ვითვიქროთ, რომ ლვთის კურ-
თხევა არ მოგვეიწოდებია, არ ჰყოფილა.
„ყოველმა სჯულის გარდამავალმა მიიღოს
სასჯელი სასწაულებითა და ნიშებითა.
(ებრაელ. 2. 2 და 4). მოშიში უფლისა
თუ განსაცდელში შევარდეს კვლავაც
დაიხსნების იგი. (ისოზირაქ. 33—1)
ამიტომ, როცა საქმეზედ მიღიხართ, ღმე-
რთი ახსენეთ, იმ თქვენი ყანასა „გულ
გასავსებად დანამულსა ნიავმა უმღეროს
„ნანასა:“

ძმებო ქრისტიანებო! იყვენით ლვ-
თის სათნო ერნი, უფლის მოშიშნი, რო-
გორიც იყო ისააკი და მამა მისი, და, ღმე-
რთი თქვენი ოფლით მორწყული ყანებს,
ვენახებს და სხვ. თქვენი ნაშრომ — ნალვა-
წსა აკურთხებს კეთილი და კარგის ნაყოფის
გამოღებით. ხომ, ვხედავთ ყოველი სიმდი-
დრის საფუძველი არის: ხვნა თესვა, მიწის
გონივრულად შემუშავება — მოხმარება,

როგორც წყარო — მდინარე ქვეყნის სრმ-
ლიდრიისა, მაშ აქედამ ყველასთვის ცხადი-
და ნათელი უნდა იყოს: ქვეყნის სიმღიდრე
სილარიბე, თქვენზე ჰყოფილა და არის და-
მოკიდებული კიდევცა...,

ერთად ჩვენთან, თქვენ ხართ მოვალე
შეუსრულოთ, ღმერთს, ის რასაც ითხოვს
თავის ერისგან. მაგალითად: ძველი სჯუ-
ლის ხალხს უბძანა: შეინახეთ უქმი დღეები
გეშინოდეს წმინდანებისა ჩემისაო; თუ ჩემი
მცნება — და დარიგებისა მებრ იცხოვრები,
მაშინ მე მოგცემ თქვენ წვიმას კეთილ-
შეზავებულის ჭერით, რათა მიწამ მოგცეთ
თქვენ გულის გასახარებელი: ყანები ვენა-
ხები, ხეხილები და სხვა ყოველი მიწის
ნაყოფი. კალო გაათაოთ კარგის ამინდებით
სთველის შემოსვლამდი; სთველსაც მორჩეთ
კარგის დარებით თესვის დროშდი. და თე-
სვის დროს მოგცეთ თქვენი სანატრელი
მუშაობის „ალო“ სჭამდეთ პურსა თქვე-
ნსაო მაძლარნი მხიარულებით, — საქონელი
თქვენი იქმნეს მაძლარნი — მსუქანი. არც

შტერი, არც ჭირი, არც შიმშილი, და არ
სხვა რამ საშიშარი სენი თქვენში არ გა-
ვაჩინო; უშიშრად და მოსვენებით გეძი-
ნოთ. (ლევიტ. 26—3, 45.—7—8 და 10.)

მე გადმოვიხედავ ზეციდგან და გაკუ-
რთხებ თქვენ, აღგაორძინებ და განგამრა-
ვლებ თქვენ, დავამტკიცებ ჩემიალთქმას
თქვენთან, მუდამ გამოულეველი გქონდეს
ჟევლი და ახალი თქვენი გულის სასიხა-
რულოდ; მე ვიქმნები მიმოსვლელი თქვენ
შორის და ვიქმნები თქვენდა ღმერთად
და თქვენ იყავით ჩემდა ერად. (იქვე 11,
21 და 13)

სიმართლენი უფლისანი წრიფელ არიან
და ახარებენ ვულთა.. მცნება უფლისა
ბრწინეალე არს, განმანათლებელი თვალთა.
თუ ჩემი მცნება — დარიგებას არ შეასრუ-
ლებთ, მეც თქვენი უშიშარი, ამპარტავან
გულს შევაშინებ: ცას გავხდი, როგორც
რკინა, და მიწას როგორც სპილენძი, ფუ-
ჭად ჩავარონინებ ყოველი თქვენი შრომა
ძალას, ყანებმა, ვენახი და ხე-ხილებმა არ

მოგცენ ის ნაყოფნი, რომელსაც თქვენ
მოელით. (იქვე 14, 15, 17, 19 და 20).

თუ ამითაც არ შეშინდებით, მაშინ
წარმოვავლენ თქვენზე სიკვდილს მტრის
ხელით, იქამდი, რომ ათი დედაკაცი ერთი
თორნეში პურს აცხობდეს, თქვენ წონით
გაძლევდენ და ვერ გაძლეთ თქვენი ნაო-
ფლარით. (იქვე. მუხ. 25, 26 და 27).

თქვენი არა წმინდებით და უსამართ
ლოებით, თუ გამარისხებთ, მაშინ ისე გა-
ვავერანებ თქვენი ნაშრომ-ნაღვაწი ქვეყა-
ნას, რომ მტრთაც კი უკვირდესო; ამას
უბრძანებს უფალი ლმერთი ძველი ისრია-
ლებს (ჭევიტ. 26—28 და 32). ხოლო
ჩვენს ქვეყანას და ერთობ ყველას, ლმერთმა
გვაშოროს მსგავსი რისხვა, თვისის კაცთ,
მოყვარებითა.

შენ გესვიდეს მამანი ჩვენნი,
გესვიდეს და იხსნენ იგინი,
შენ დამი ღალადებდეს და ცხონდეს,
შენ გესვიდეს და არა რცხვენა...

ჩვენ, უფრო უნდა გვეშინოდეს ღვთისა
ვინემ კაცთა, როგორც ამას მოციქული
ამბობს. (საქ. მოც. 5—30). გვეშინოდეს
მისი, რომელსაც შეუძლია სოფლის აოხ-
რება და სიკვდილის შემდეგ ჩაგდება გეენი-
ასა მას (ლუკ. 12.—2 3 და 4). ამიტომ
უნდა გაიკითხოთ თქვენი ნაოფლარისაგან
მათხოვარა. მოწყალება კაცს სიკვდილისგან
იხსნის და ცოდვათაგან განსწმედს. (ტობ.
12—9 და 10).

აი, როგორ ბრძანებს უფალი; გაყი-
დე მონაგები შენი და ამისგან მიეცი გლა-
ხაკთა და გექნება საუნჯე ჩემთან ცათ
შინა, (მათ. 19—21.) ვინც ამ სოფელში
თვისის მონაგარისგან, ღარიბ-გაჭივრებულს,
გლახაკს მოწყალებას მისცემს, ის თვითონ
ქრისტე ღმერთს აძლევს: რასაც თქვენ,
ძმათა ჩემთასა უყოფთ იმას მე მიყობთო.
მათ. 25—40.) რომელსაც უყვარდეს მო-
ყვასი თვისი, სჯული აღასრულა. (რომ.
13—7 და 8). გვიყვრდეს, როგორც ღმე-
რთი და მოყვასი თვისი, ისე სამშობლო-

მიწა-ქვეყანა, როგორც ჩვენი შშობელი და
გამზრდელი...

სამშობლო დედის ძუძუი
არ გაიცვლების სხვაზედა;
როგორც უფალი სამშობლოც
ერთია ქვეყანაზედა!...

რ. ერისთავი

ასე ამგვარად, ცა და ქვეყნის ჰაერის და
ბუნების, მხრძანებელი ღმერთი აკურთხებს
თქვენი ნაშრომი — ნაოფლარი: ყანებს,
ვენახებს და სხვა, მიწის ნაყოფთა, თქვენი
გულის გასახარებლად, როგორც პოეტმა
სთქვა:

„ყანაო, ქვეყნის სამოთხევ, გლეხის
დიდებავ ყანაო!

ცასკრის სხივებმა შეგმოსა და ნაშმა
გადაგბანაო.

დილის ნიავმა დაგქროლა, ალექსით
გითხრა ნანაო,
ჟუჟუნა წვიმაშ ზედ დაგკრა, ზურმუ-
ხტად აგამწვანაო;

ზედ უფლის თვალი დაგუურებს შენი
ბარაქა ბრძანაო,
აგშორდეს გვალვა და სეტყვა, მოსა-
ვლის გამოცანაო.
ყანაო! ოქრო, ზურმუხტო, ყანაო,
ჩვენო ყანაო!
მაღალმა ღმერთმა აკურთხოს სხვაც
ბევრი შენისთანაო.

აკაკი წერეთელი.

მებო ქრისტიანებო! არ იქმნება უმნიშნე-
ლო განსაკუთრებით თქვენთვის, როგო-
რც მიწის მოქმედთა, აღგიხსნათ აქვე, თუ
რისთვის დაუწესა ღმერთმა, თავის ერს სად-
ღესასწაულოდ პირველი რიცხვი ენკენის
თვისა, როგორც წლის ახალი ნაყოფის
შემოსვლის დრო.

ღმერთმა, რომელმაც ცა და ქვეყანა
დააფუძნა, ჟამნი და წელიწადები დააწესა,
მოსე წინასწარმეტველის პირით უბრძანა:
მეშვიდე თვე პირველი რიცხვი ენკენის
თვისას ხალხმა შეისვენონ — იუქმონ, რო-

გორც მაგალითად: მეშვიდე დღეს თვით,
 ღმერთმაც შეისვენა ქვეყნის შექმნაში,
 რომელსაც აქვე, მოგაგონებთ: 1, დღეს
 შექმნა ნათელი. 2, დღეს ცა მესამე დღეს
 გაყო წყალი და მიწა,—უბრძანა ამოსვლა
 იშ მცენარებს, რომლებიც ადამიანის გო-
 ნება—თვალს ათას ფერად ასიამოვნებს და
 ასაზრდოებს, 4, დღეს შექმნა: მზე, მთვა-
 რე და ვარსკულავები, 5, დღეს თევზი,
 მფრინველნი, ყოველი ცხოველნი და ბო-
 ლოს კაცი. 7, დღეს თვითონ ღმერთმაც
 მოისვენა, მით მაგალითი მისცა ადამიანს,
 თორემ ღმერთს, რა დაღლიდა, როცა რა-
 საც ვხედავთ ყველა ამებისა შექმნაზე შვიდი
 სიტყვის მეტი არ დასჭირვებია, მხოლოდ
 ბრძანა: იქმნეს ნათელი და იქმნა, იქმნეს
 ღამეო და იქმნა კიდევაცა, და სხვანი.
 (შექმ. 1—3 და 5) ასე, ამსახით ხალხს
 დაუწესა ექვსი დღის მუშაობა. და მეშვიდე
 დღეს დათვეს მოსვენება და წმინდათ შე-
 ნახვა ღვთის ველრებაში (ლევიტ. 2—3—
 23.)

აი, კედევ თუ რისთვისაც არის დღე-
სასწაულობა? ამ თვის პირველს დაპატარავ-
და ზღვა—წარლვნა და ამ დღეს დადგა
არარატის მთეზე ნოეს კიდობანი (შექმ.
8—4) 2, წინასწარმეტყველი მოსე მეო-
რედ გადმოვიდა სინას მთიდგან და მოუ-
ტანა ხალხს სჯულის ფიცარი. 3) ამ თვეს
გააკეთეს ებრაელებმა სალოცავი კარავი.
4, ამთვეს შევიდა დიდი მღვდელთ მთავა-
რი წმ. წმინდათაში მსხვერპლის შესაწი-
რავად, 5, ამ თვეს ერნიგაიწმედდენ სვინი-
დის წლის ნაქმარი ცოდვისაგან. 6 ამ
თვეს შეკრიბა სოლომონ მეფემ, ყველა
უხუცესი ისრაილები, რათა მისგან აშენე-
ბული დიდი—საოცარი ტაძარში დაესვენე-
ბია სჯულის კიდობანი: „რამეთუ აღიგხო
დიდებითა ტაძარი“, (მეფეთა. წიგ. 3.8—
10.) 8, ამ თვის პირველი რიცხვიდგან
იწყებოდა: პირველი სჯულის წელიწადის
პირველი რიცხვი—ახალი წელიწადი.

ამ დღეს, არათუ ხალხს აღუკაჭალა
მუშაობა, არამედ თვით პირუტყვთაც: არ

ამუშაონ, არც ხარი, არც ვირი, არც მო-
ხნან, არ ლათესონ, არ შეკრიბონ ხუვი-
ლი — პურის თავ-თაველი, არც ყურძენი,
არც ხე-ხილი და არც სხვა რამ მიწის ნა-
ყოფი. მისთვის, რომ პირველი დღეა ენ-
ტენის თვისა; ე. ი. მეშვიდე თვე მარტი-
დგან, როდესაც შექმნა ყოველივე, რასაც
ვხედავთ; ამიტომაც ღმერთმა ასე გააჩინა
მეშვიდე თვის თავზე შეისვენოთ — იუქმოთ
დვთის ვედრებით, როგორც წლის ახალი
ნაყოფის შემოსვლის დრო.

ამ სახით ჩვენი წმინდა ეკკლესიამაც
მიიღო დასაბამი დასაწყისი „ინდიკტიონი“
პირველი რიცხვი ენკენის თვისა. პირველი
მსოფლიო კრებაში წმ. მამებმა დაწესეს;
ეს დღე შვიდი თოვის თავი ყოველ-წელ
ეკკლესიური წესით იღლესასწავლონ; ღმე-
რთი ილოცონ ვისიც ვალია: „ილოცვი-
დეთ ძეთათვის ისრაილთასა და ყოველთა
ცოდვათა მათთათვის,, (ლევიტ. 16 — 34)
და ილოცონ ყოველთათვის ჰკრებულთა
ძეთა ისრაილისათა და მიეტეოს მათ.

ახალ აღთქმაშიაც ნათქვამია: ილოც-
ვიდეთ, როგორც თავისთვის ისე ხალხის-
სთვის (ებრაელ. 5 -- 3). ითხოვდით და
მიიღოთ „რაოდენიცა ჰსიტხოვოთ მამასა
ჩემსა სახელითა ჩემითა მოგეცეს თქვენ“
(იოან. 16 — 23 და 24.) „რასა გძინავ?
აღსდექით — ილოცეთ, რათა არა შეხვიდეთ
განსაკუდელსა“ (ლუკ. 22 — 46). ყოველი,
რომელიც გარდახდების ქრისტე ღმერთის
მოძღვრება დარიგებას, იმასთან ღმერთიც არ
არის, და ვინც ქრისტეს მოძღვრებას ასრულ
ებს, იმასთან ძეცა (ქრისტე) და მამაცა
არის. (კათ. II. იოან 1 — 9).

ასე, ამ გვარად, უფალი ჩვენი იესო
ქრისტე, პირველ ენკენისთვეს შევიდა
პირველად ურიათა შესაკრებში, სადაც
ურიების მოძღვრებმა პატივსაცემლად იესოს
მოართვეს ი საია წინასწარმეტყველის წიგნი
წასაკითხად, წამსუე გადაუშალა იესომ ის
სტრიქონები, სადაც ეწერა: „სული უფ-
ლისა ჩემზედა, რომლისათვისცა მცხო მე
მახარებელად გლახაკთა, განკურნებად სნე-

ულთა, ქადაგებად, ტყეთა განტევებისა, ბრძანათა თვალების ანხილისთვის, ცოდვათა მიტავებისთვის, და წელიწადი უფლისა, „შეწყნარებული“. (ლუკ, 4—16, 17, 18, და 19.)

აქედგან დაიწყო ქრისტეანეთა თავის-უფლება, ამ დღიდგან იწყება ახალი სჯული და ახალი წლის დღესასწაულობა. სჯულის მდებელმა ქრისტემ ამ დღეს გამოუცხადა ხალხს თავი და დაუწყო ქადაგება ყოვლად ტკბილის და მშეენიერის ბაგითა თვისითა: კაცთა ნათესაობათა ცოდვისაგან გამოხსნისთვის (II კორ. 3—3. ებრ. 4. და 14. კორ. 3—11 და 17),

ლმერთ კაცი იესო, ჰესმარიტი მქადა-
გებელი და მოძღვარი არ ეძებდა: ოქრო,
ცერცხლს და სხვა ქვეყნიურ — დიდებას;
არამედ ყველასგან ეძებდა — ითხოვდა:
ა) სარწმუნოებაში კეთილ მაგალითს —
მოქმედებას. ბ) მართლ — მაღიდებლობაში,
მრკიცე — ძლიერს ღვთის სიყვარულს —
პატივისცემას. და გ) ერთმანეთში — კაცთა

შორის, გულ—წრთველი „ძმობა—ერთობა“ სიყვარულს. ამაზედ წმ. დავით მეფე ამბობს „უფალი ჩემი ხარ შენ. რამეთუ კეთილთა ჩემთაგან, არა გიხში შენ“ ე. ი. ჩემი ქონებისაგან არაფერი არა გსურსო (ფსალ. 15—2.) მართალია. ღმერთს ჩვენი ქონებისაგან არაფელი უნდა; მაგრამ ამის სამაგიეროდ დავვიწესა, საზოგადოდ ყოველი ადამიანისთვის სასარგებლო: გვიყვრდეს მოყვასი, როგორც თავი თვისი. თუ ვინმე სესხად გთხოვდეს პურს. თუ ფულს, მუქთადაც მიეცი შეძლების გვარად რათა მით ძმამა და მოყვასმა იცოცხლოს შენთან, და მაშინ აღავსოს ქვეყანამ საუნჯენი კეთილითა ნაყოფითა: პურითა, ღვინით, ზეთით, საქონლით და ყოველ გვარი მიწის ნაყოფითა, — სიმრთელე და მწვიდობაც იქმნეს თქვენშიო. (იხ. ლევიტ. 25-17, 18, 19, 34).

გიყვარდეს ღმერთი და მოყვასი საქმით და არა ცარიელის ენით, რიგორც იოანე ღვთის მეტყველი და მახარებელი ამბობს: „შვი-

ლნო, ჩემნო! ნუ გიყვარნ სიტვითა, ნუცა
ენითა, არამედ საჭმითა და ჭეშმარიტებითა“. (იოან. 3 — 18).

ვინცა თქვა: „ძალით, ტაცილით,
ნუ რა გინდა რა სხვისიო,
და გწამდეს კაცო, მოყვასი
ვითარცა თავი თვისიო.
ვინც ვლიდა ფეხთ უმოსელი,
არა ვის ჰქონდა რიდება
და დათმო მოძმეს გულისთვის
ამ ქვეყნის ავლა დიდება“

აკაკი.

დიალ ასე ამ მცნებით, კაცს უნდა ცხოვრება, ცხოვრებისათვის საჭიროა: სახსარი ღონის ძიება, — ხომ მოგეხსეშებათ, ღონის ძიება ზოგიერთი ბობოლაების გარდა უშრომელად, უჯაფოდ არ შეიძლება...

ამათი, თუ იმათი ღონის ძიების საძირკველი — ბურჯი — ცხოვრების წყარო, ისევ და ისევ, ის თქვენი მტკიცე — მაგარი მშრომელი და გამჯელი ხელებია, რომელიც არ

თხოულობს ქრთაშ: ხენა — თესვისათვის... .

მხოლოდ, ითხოვს: გარჯას, ჯაფას
და მეურნეობის ცოდნას, მაშინ, პირაქეთ
გვაძლევს ოქრო და ვერცხლს მილიონო-
ბით, დაუთვალიავ თვალ — მარგალიტს.

მებო ქთისტიანებო, მიწის მოქმედნო!
ცისა და ჰევეზის, გამჩენმა ღმერთმა მოგა-
ნიჭოთ: ცოდნა, შეძლება, ძალა, რომ მიწის
გულის სიმღიდრის უხვებით გონივრულად
ისარვებლოთ, — მუდამ წელ აკურთხოს თქ-
ვენთვის პირველი ენკენისთვე, როგორც
ახალი წელი და მიწის ახალი ნაყოფის
დრო, დაატკბოს თქვენთვის თქვენგან
ჯაფით, ოფლით მოწეული მიწის ნაყოფნი,
ასე, რომ თქვენი ყანების და ვენახებიდგან:
ქისას იტენდეთ ოქრო — ზურმუხტით და
თვალ მარგალიტით.

ზეკიურ განვებამ აკურთხოს თქვენი:
მხნე და გამრჯელი, მშვიდობის მოყვარე,
მხვნელ — თესველი ხელები, — მოგანიჭოთ
სიმთელე და ნაყოფთა უხვება დღე გრძე-
ლობით და წმინდათა ანგელოსთა თვისთა

თქვენ შორის დაბანაკებით; ხოლო დედა
მიწას, თქვენ ყანებს არ მოაკლოს თავ-
თავის დროს ზომიერი წვიმა-ცვარი, კეთილ
შეზავებული ჭაერი — ურეშზე ასი კოდინა-
ყოფის გამოლებით, რათა მის მიერ წყა-
ლობასა მიმთხვეულნი; კეთილის მყოფე-
ლსა ღმერთსა ჩვენსა, დიდებასა შევსწირვი-
დეთ, — ვთხოვოთ კვლავაც, თავის უტყუ-
არის სიტყვისამებრ: უკეთუ ორნი თქვენ-
განნი შეითქუნეს ყოვლისავე საქმისა, რაც
ითხოვონ ეყოს მათ მამისა ჩემისაგან ზე-
ცა თასა „ სადაცა იყვნენ ორნი გინა სამნი
შეკრებულ სახელისა ჩემისათვის მუნ ვარ მე
შორის მათსა“ (მათ. 18—19 და 20).

„ითხოვდით და მოგეცეს თქვენ: ეძიებდით,
და ჰპოვოთ; ირეკლით და განგელოს თქ-
ვენ“ მამან ზეცათათამან მოსცეს კეთილი,
რომელნი სთხოვდენ მათ, „ (მათ. 7—7 და
11).

ღმერთო! მოხედე ქვეყანასა და დაათრვე იგი
განამრავლე გამდიდრება მისი,

განუმზადე საზრდელი მათი,
 განამშრავლე ნაყოფი მისი,
 ცვარითა მხიარულ იყოს ჯეჯილი მისი,
 აკურთხო გვირგვინი წელიწადისა სიტკბოე-
 ველნი შენნი აღივსნენ სიპოხითა, | ბითა
 განაპოხნეს შვენიერება უდაბნოსა,
 და, სიხარული ბორცვთა შეიმოსონ,
 შეიმოსნენ ვერძნი ცხოვართანი,
 და ლელეთა განამრავლონ იფქლი,
 სიხარულით კმაყოფილნი
 ერნი შენნი ივერმი
 ლალადებდნენ და გალობდნენ...

მღვდელ—მონაზონი კალისტრატე.